

საქართველო

დამოუკიდებელი საორბული გაზეთი

20 თებერვალი, ოთხშაბათი, 1991 წ.
№ 30 (10 443) • ზანი 10 კპბ.

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან

ჩვენს ჭიდაობას

უცხოელაზიკ

გაუზიანაურდენ

ძიუდოში თბილისის საერთაშორისო ტურნირის მესამე დღე ქართულ კიდაობას დაეთმო — სპორტის სასახლის ხალიჩაზე სასპარეზოდ გამოვიდნენ ქართველი და უცხოელი მოკიდავეები. სტუმართაგან ექვსი

გუნდიდან მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ხუთმა — სსრ კავშირის ნაკრებმა მიატოვა ტურნირი, მაგრამ ამით არაფერი არ დაკლებია მას. ტრიბუნებზე თავმოყრილი მაყურებელი მონიბლა უცხოელების გამო-


სვლებმა, ისინი ტოლს არ უდებდნენ „ქართულის“ ფუძემდებლებს — მასპინძელ მოკიდავეებს: ფრანგმა პიერ მარკ ტარაიმ (80 კგ) 2 წუთში დაამარცხა ქართული კიდაობის ცნობილი ოსტატი საგარეჯოელი ზა-

ქრო ბალიაშვილი, ხოლო ქულებით ფრანგ მორომ (66 კგ) — გელა მეზალიაშვილი, პოლონელმა რედოსლაველ ლასკოვსკიმ (66 კგ) — ანზორ კაპანაძე. აშკარად არ იყო ფორმაში გურამ მოდებაძე — როგორც ძიუ-


დოში. „ქართულშიც“ დათმო შენვედრა ფრანგ ალენ არნოსთან.

იხ. გვ. 2-33
ა. კოტორაშვილის ფოტოები.

ჭრტულ ჭიდაობაში თბილისის II საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებულნი




გია ხოსიტაშვილი



ბაკურ თურქაძე



იოსებ ლიპარტელიანი



ვახლ ომარაშვილი



ვეფხია კაპანაძე

დაუპყნდა „თანადგომა“

16 თებერვალს დაფუნდა საქართველოს საზოგადოებრივი მოძრაობა „თანადგომა“, რომელშიც გაერთიანდებიან არაპოლიტიკური საზოგადოებრივი ორგანიზაციები. „თანადგომის“ ჩამოყალიბების ინიციატორები არიან მოსახლეობის ფიზიკური გაჯანსაღების სრულიად საქართველოს ასოციაცია და სრულიად საქართველოს საზოგადოებრივი ასოციაცია „ამაღლება“.

აღორძინების გზით, საზოგადოებრივი ძალებისა და, როგორც ქართველი ერის, ისე საქართველოში მცხოვრებ სხვა ხალხთა კონსოლიდაცია; საერთო ამოცანის გადაწყვეტა ერის ინტერესების გამომხატველ რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსთან თანადგომით.

ჩობბურთი. შტუტგარტის ტურნირის სტარტზე (საპრიზო ფონდი 1 მილიონი დოლარი) ანდრეი ჩესნოკოვა დაამარცხა შევედი მაგნუს ლარსონი (6:4, 6:4), ალექსანდრე ვოლკოვი კი გამოეთიშა ასპარეზობას (წააგო იუგოსლავიელ გორან ივანიშვიტთან — 1:6, 2:6). ჩიკაგოში მიმდინარე „ვირჯინია სლიმზის“ სერიის ქალთა ტურნირის ფინალში კი ერთმანეთს შეხვდებიან ამერიკელები მარტინა ნავრატოლოვა და ზინა ჰარისონი, რომლებმაც ნახევარფინალში შეხებაშია ჩეჩნოსლოვაკიელ ჰელენა სუკოვას (6:3, 6:8) და კანადელ ჰელენ კელესის (6:1, 6:2) აჯობეს. ხაინტურესია აღინიშნოს, რომ მომავალ ფინალისტთა ადრე ჩატარებული 30 შეხვედრიდან მარისონმა მხოლოდ ერთხელ გაიმარჯვა.

კოპენი. ნსლ-ის პროფესიულ ლიგაში დასასრულს უახლოვდება ჩვეულებრივი ტურნირები. მალე დაიწყება ბრძოლა მთავარი პრიზისთვის — სტენლის თასისთვის. „პლეი-ოფის“ მატჩებში მონაწილეობის უფლება ჩერჩერობით განაღდება აქვს

ნატზე იგი მხილებულ იქნა დოპინგის მიღებაში...
ლახტი. ბიატლონისტ-ქალთა მსოფლიო ჩემპიონატზე პროგრამის პირველ სახეობაში — 7,5 კილომეტრზე რბენაში. გამარჯვება მოიპოვა ნორვეგიელმა გრეტა ინგებორგ ნიუკელმომ — 30.01,9.
ნოიმიუნსტერი (გერმანია). მსოფლიო თასის გათამაშების მორიგი

შეთანხმებული ვუპარაბი

მს-მსაბ დაიწყო წლებანდელი სპორტული სეზონი და საქართველოს წარმომადგენლებმა უკვე რამდენიმე მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს. გუშინ ამ ასპარეზობათა ჩემპიონებს და პრიზიორებს შეხვედნენ რესპუბლიკის სპორტსახეობის ხელმძღვანელები.

შეხვედრაზე ითქვა, რომ ეს წარმატებები შედეგია იმ შეთანხმებული ურთიერთობისა, რომელიც დამკვიდრდა ფედერაციებსა და სპორტსახეობის შესაბამისი განყოფილებებს შორის.

შიგარული ციგარაობა. აშშ-ის ჩემპიონატი ინდივიდუალურ სრიალში ქალთა შორის 20 წლის პორტლენდელმა ტონია პარდინგმა მოიგო. ამასთან, აღსანიშნავია, რომ გამარჯვებულმა, ამერიკელ ფიგურისტებს შორის პირველმა შეასრულა „სამმაგი აქსელ“, ან უფრო ზუსტად ნახტომი 3,5 ბრუნით. შეჯიბრებაში, რომელიც ამავე დროს მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ასპარეზობას წარმოადგენდა, ტრავის გამო არ გამოსულა შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონი ჯილ ტრენარი. როგორც ვიწყებოდით, უძლიერესი ფიგურისტები სასპარეზოდ შეიკრიბებიან მიუნხენში 12-17 მარტს.

შრისტილი. აშშ-ის ხაკურორტო ქალაქ ლეიკ-პლეისდში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატი კიდევ ერთი ხენსაციით აღინიშნა. ვაჟებში I ადგილი და ოქროს მედალი ხ. შუპლენცოვმა მოიპოვა. ქალთა შორის უძლიერესი შეიცარეილი მ. შმიდი იყო.

ეტაბი ცხენის გაწვრთნაში მოიგო ინგლისელმა ანი მაკდონალდმა (ცხენი „ოპტიმისტი“). მან 72,93 ქულა დააგროვა.
სტიპკოლი. შვეიცრის „გორალი“ დამთავრდა კენეტ „სარის“ გამარჯვებით („მიცუბისის“ ფირმის ავტომანქანით). 521 კილომეტრი მან 4:56.16-ში დაფარა.
1972 წლის ოლიმპიური თამაშების შედეგის ჩემპიონს ცურვაში, ამჟამად კი ცნობილ ამერიკელ ბიზნესმენს, 41 წლის მარკ სპიცს განზრახული აქვს კვლავ გამოვიდეს ცისფერ ბილიკზე. 27 აპრილს ლოს-ანჯელესში 50 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში მისი მეტოქე იქნება კიდევ ერთი სახელგანთქმული ამერიკელი სპორტსმენი, 1988 წლის ოლიმპიადის ხუთგზის ჩემპიონი მეტ ბიონდი.

სამბისტაბი კლიკაბი გეგავს

სამბისტა ხაკეშირო ტურნირში, რომელიც ამ დღეებში გაიმართა მოსკოვში წარმატებით იასპარეზეს საქართველოს მოკიდავეებმა. მძიმე წონაში გამარჯვა გორუღმა არმან ჯალაბაძემ. მის გარდა პრიზიორები გახდნენ

მცხეთელი ქონდო მუზაშვილი (74 კგ) — II ადგილი, საგარეჯოელი გოჩა მეკოკიშვილი (57 კგ), კასპელი ჭემალ გულიაშვილი (82 კგ) და თბილისელი მძიმეწონისანი იოსებ ჭიჭიშვილი — III ადგილი.

მოსკოვი. ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გაურკვეველი ბრალდებში, რომელსაც უყენებენ ფიგურულ ციგურაობაში მსოფლიოსა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონს მარინა კლიმოვას. მაგრამ ასეა თუ ისე, სოფიაში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატი

ამ „ლულის“ მიზანი წმინდა კომერციულია — მონაწილენი გვარამ ხას მიიღებენ. მაგრამ, როგორც ფრანს პრესის სააგენტო აღნიშნავს, „ჩერჩერობით კონტრაქტი ხელმოწერილი არ არის“.

